# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3

ქ. ზესტაფონი 29/08/2017 წ.

შ.პ.ს. „მაგთიკომი" წარმოდგენილი ზესტაფონის ოფისის ზედამხედველის ლაშა საყვარელიძის სახით, შემდგომში *გამყიდველი*, ერთის მხრივ და 51 ზესტაფონის საოლქო კომისია წარმოდგენილი კომისიის თავჯდომარის გიორგი კახნიაშვილის სახით, შემდგომში – *მყიდველი*, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 1500 ( ათასხუთასი) ლარის მობილური სატელეფონო მომსახურების შესყიდვა

1.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *გამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

## 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

*გამყიდველს* მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით;

3.2 *მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *გამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და

დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

## 7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

8.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

| გამყიდველი: | მყიდველი: |
| --- | --- |
| **იურიდიული მისამართი** | **იურიდიული მისამართი** |
| ქ ზესტაფონი დ.აღმაშენებლის 59 | ზესტაფონი წერეთლის 5 |
| **საბანკო რეკვიზიტები:** | **საბანკო რეკვიზიტები:** |
| ს.ს. "ვითიბი ბანკი" | |
| ცენტრალური ფილიალი | სს ლიბერთი ბანკი |
| ა/ა GE73VT6600000000423607; | ა.ნ GE10LB0125141330135005 |
| კოდი: UGEBGE22 | |
| საიდენტ. კოდი: 204876606 | საიდენტ. კოდი: 203851509 |
| | საკონტაქტო ტელ: 591171332 |

ოფისის ზედამხედველი:

| თანამდებობა | ცენტრის დირექტორი |
| --- | --- |
| (ლ.საყვარელიძე) | (გ კახნიაშვილი) |